

მერია ნაციონალების დროს გასხვისებურ ტერიტორიებს იბრუნებს



“ნაციონალური მოძრაობის” დროს იპოლრომის მიმდებარე გასხვისებური ჩოგბურთის კორტების ტერიტორია თბილისის მერიის მუნიციპალიტეტს დაუბრუნდება.

კახა კარაძის განცხადებით, ეს მიწის ნაკვეთი საბურთალოს და ბახტრიონის ქუჩებს შორის მდებარეობს და საკითხი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ძალიან მტკივნეულია. მერის განცხადებით, 2009 წელს მიწის ეს ნაკვეთი უცხოურ დეველოპერულ კომპანიაზე გაიყიდა, რომელმაც ეს მიწა განაშენიანების მიზნით შეიძინა.

“ნაციონალური მოძრაობის” რეჟიმის დანაშაულებრივი ურბანული პოლიტიკის ერთ-ერთ მორიგ მსხვერპლზე მიწდა გიამბოთ. ეს არის მიწის ნაკვეთი იპოლრომის მიმდებარე, საბურთალოსა და ბახტრიონის ქუჩებს შორის – ე.წ. ჩოგბურთის კორტების ტერიტორია. ეს საკითხი ძალიან მტკივნეულია ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ზოგადად, ეს ადგილი ყოველთვის იყო სპორტურ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, სადაც ბევრი თბილისელი დადიოდა. სამწუხაროდ, 2009 წელს ტერიტორია უცხოურ სამშენებლო კომპანიაზე გაიყიდა, რომელმაც აღნიშნული მიწა განაშენიანების მიზნით შეიძინა. ჩვენ, რა თქმა უნდა, განვითარების, წინსვრისა და მშენებლობის წინააღმდეგი არ ვართ, თუმცა არსებობს ისეთი ადგილები, რომელიც ჩვენი ქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. არსებობს სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები, სკვერები, პარკები და სხვა ტერიტორიები, სადაც პირადად ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისთვის, რაიმე სახის მშენებლობების განხორციელება კატეგორიულად მიუღებელია“, – განაცხადა კახა კარაძემ.

ახლა ვი ამ მიწის ნაკვეთზე საჩოგბურთო მოედანი მოეწყობა, შესაძლებელია სპორტული კომპლექსის მშენებლობაც.

„რთურია, რომ ამ ადგილს დღეს კორტები ვუწოდოთ, ისეთ მძიმე მდგომარეობაშია. ამიტომ, ეს კონკრეტული ადგილი მუნიციპალიტეტს დაუბრუნდება. აქვე მინდა დაგავაროთ, რომ მომავალი წლისთვის პროექტის განხორციელება დაიწყოს, სადაც შესაძლებელია, როგორც საჩოგბურთო, ასევე, საფეხბურთო მოედანი მოეწყოს. მგონია, რომ ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ადგილობრივებისთვის და დედაქალაქის მცხოვრებლებისთვის. მოსახლეობის მხრიდან სერიოზული უკმაყოფილება იყო, თუმცა გადანყვეტილება უკვე დადებითად არის მიღებული“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

თბილისის მერმა აღნიშნა, რომ დედაქალაქში არაერთი რეკრეაციული სივრცეა, რომელიც წინა ხეღისუფლების დროს გასხვისდა და მუნიციპალიტეტი ცდილობს ამის გამოსწორებას.

„ძალიან ბევრი დანაშაულია ურბანული კუთხით წინა ხეღისუფლების მიერ ჩადენილი. სწორედ ამიტომ ვართ ჩვენ ქალაქის სათავეში, რომ მაქსიმუმი გავაკეთოთ და სადაც გადარჩენის, შენარჩუნების თუ აღდგენის თეორიული შესაძლებლობა მაინც არსებობს, ეს მოვახერხოთ. არავითარ შემთხვევაში, არ უნდა დავაზარალოთ ის ადამიანები, ვისაც მიწის ნაკვეთებში თანხა აქვს გადახდილი. მათ ყვედანაირად ხელი უნდა შევუწყოთ, ეს იქნება ადგილმონაცვლეობა, გამოსყიდვა თუ რა საშუალებაც არსებობს, რომ ყველაფერი მოწესრიგდეს და უკმაყოფილო არავინ დარჩეს. ჩემი თხოვნა იქნება, რომ წინა ხეღისუფლებას არ დავემსგავსოთ. ყველაფერს მაქსიმალურად ვაკეთებთ იმისთვის, რომ სიტუაცია გამოვასწოროთ, რაც ძალიან რთურია“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

მოგვიანებით მერის მოადგილემ, ირაკლი ხმარაძემ განმარტა, რომ 10 თვის განმავლობაში მიდიოდა მოლაპარაკებები და კომპანიას ამ მიწაზე ადგილმონაცვლეობა შესთავაზეს.